ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724122001
თარიღი:01/05/2024

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**მორიგი სხდომა N-08**

**დ.ლენტეხი 18 აპრილი 2024წ.**

მიმდინარე წლის 18 აპრილს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 18 (თვრამეტი) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები - ტახუ ჩანქსელიანი, ხათუნა ლიპარტელიანი, გერმან ქურასბედიანი, ბაჩუკი გაზდელიანი, სოზარ ბენდელიანი, ლევან ლიპარტელიანი, საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტები ელისო გაზდელიანი და თეა ქურდიანი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ საზოგადოების წარმომადგენლები - კახა ფურელიანი, ლაშა ბენდელიანი, მიხეილ აფაქიძე, გიორგი ბენდელიანი და ზაზა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

**1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში - 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი/

**2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში.**

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

**3.საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.**

/მომხს: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

**4.ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების 2024 წლის სამოქმედო გეგმების დამტკიცების თაობაზე.**

/ მომხს: შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები/

**5.სოფ. ლექსურის მოსახლეობის ერთობლივი განცხადების განხილვა.**

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ლიპარტელიანი/

6. **ჭავჭავაძის ქუჩის მოსახლეობის განცხადების განხილვა.**

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ლიპარტელიანი/

7. **სხვადასხვა.**

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით - მომხრე -18

წინააღმდეგი -0

**დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.**

**მოისმინეს:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა გია ონიანმა წარმოადგინა ანგარიში - 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გასული წელი იყო საკმაოდ წარმატებული, გეგმა ყველა მიმართულებით შესრულდა. პროექტებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ გვყავდა ცუდი შემსრულებლებიც, მაინც შევინარჩუნეთ ყველა თანხა. წელს ამ კუთხით უფრო კარგი მდგომარეობა გვაქვს და დარწმუნებული ვართ, რომ თემების მიხედვით დაგეგმილი ყველა პროექტი განხორციელდება ხარისხიანად.

კულტურის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით იყო შეფერხებები შოვის ტრაგედიის გამო.წელს გვაქვს კარგი ღონისძიებები დაგეგმილი და დაფინანსებული. შესაბამისად მოეწყობა ძალიან საინტერესო ღონისძიებები. მიმდინარე წელს პირველად ჩატარდა ზამთრის ღონისძიება, რომელმაც ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა. სპორტ.კომპლექსის მშენებლობა გაგვიჭიანურდა ცუდი შემსრულებლის გამო. ახლა გვყავს ახალი შემსრულებელი და გვაქვს შესაძლებლობა, რომ დასრულდეს ეს სპორტული კოპლექსი და მოეწყოს საინტერესო ღონისძიებები.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა მეშველიანების მიერ ლენტეხის მუნიციპალიტეტზე გადმოცემულ პარკს, რომ გათვალისწინებულია ამ პარკის კეთილმოწყობა . ასევე ილაპარაკა ლენტეხი- მესტიის დამაკავშირებელი გზის დადებით მხარეებზე, რომ ეს ტრასა ძალიან შეუწყობს ხელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას.

ამავე დროს აღნიშნა, რომ სოციალური მიმართულებით გაიზარდა დაფინანსება. გასულ წელს შედარებით მოკრძალებული თანხების ფარგლებში გავართვით თავი და წელს უფრო გაიზარდა ამ მიმართულებით დაფინანსება და რათქმა უნდა გვექნება უფრო კარგი შედეგები.

**შეკითხვები:**

**1.საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა პირველ რიგში მადლობა გადაუხადა მერს წარმოდგენილი ანგარიშისთვის და მიმართვა კითხვებით: როდის გაიხსნება კულტურის სახლი და თუ არის დაგეგმილი ასაქცევი გზის გაკეთება?**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კულტურის სახლის რეაბილიტაცია თითქმის დამთავრებულია. დარჩენილია მცირე მოცულობის სამუშაოები ელექტროგაყვანილობის და კანალიზაციის მოსაწესრიგებლად. რომ დაგეგმილია ძალიან სერიოზული ღონისძიება კულტურის გახსნასთან დაკავშირებით. რაც შეეხება პროექტს დაბაში ასქცევი გზის გაკეთების თაობაზე, ესეც გათვალისწინებულია.

**2. ფრაქცია ,,მოქალაქეები საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე ნინო ბენდელიანი - როდის დაიწყება ახალი ავტობუსებით სოფლებში მოძრაობა?**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში ავტობუსები დაიწყებენ დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით მოძრაობას.

**3. შეკითხვა- ნინო ბენდელიანი - გაიყიდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომობილები. გვაინტერესებს რას მოხმარდა ეს თანხა?**

მერმა პასუხად აღნიშნა, რომ ეს ავტომობილები გაიყიდა 38000 ლარად და ეს თანხა ჩაირიცხა ადგილობრივ ბიუჯეტში.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა დააზუსტა საკითხი, რომ გადმოცემული ავტომანქნების რეაბილიტაციის ღირებულება აღემატებოდა თვითღირებულებას და ამიტომ გაიყიდა ეს ავტომანქნები.

**4. დალი ტვილდიანი -** აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია თუ არის გათვალისწინებული?

პასუხად მერმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე მიღწეულია შედეგი შესაბამის სტრუქტურებთან და გვაქვს იმედი, რომ წელს დაიწყება ეს პროცესი, ამავე დროს გვაქვს გათვალისწინებული საცხოვრებელი კორპუსების წინა ფასადების მოწესრიგებაც.

**5. ნინო ბენდელიანი - პრობლემად რჩება მჟავე წყალთან გადასასვლელი ხიდის მდგომარეობა.**

პასუხად მერმა გია ონიანმა აღნიშნა, რომ ველოდებით დიდ თანხას ხიდის სრული რეაბილიტაციისთვის და ეს საკითხიც წელს უნდა გადაიჭრას დადებითად.

**6. ფრაქცია,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე - ირაკლი ქურასბედიანი - რა ხდება დაბაში საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის რეაბილიტაციის პროექტის თაობაზე?**

მუნიციპალიტეტის მერმა გია ონიანმა აღნიშნა, რომ წელს სამჯერ ჩავარდა ეს ტენდერი. სამწუხაროდ პროექტირებაც მიბმულია პროექტზე და ტენდერში არავინ არ მიიღო მონაწილეობა.

**კითხვების ამოწურვის შემდეგ თავისი აზრი დააფიქსირა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა: მერის ანგარიში არის კონკრეტული. გეგმამ გადააჭარბა 110%-ს და ეს არის ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის უდიდესი წინსვლა. მან მადლობა გადუხადა მერს და მერიის სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების უფროსებს გაწეული მუშაობისთვის.**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მერის ანგარიშის დადებითად შეფასების თაობაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -17

წინააღმდეგი -0

თავი შეიკავა -1

**გადაწყვიტეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში - 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.**

**2. მოისმინეს:** მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა წარმოადგინა ანგარიში - 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

**შეკითხვები:**

1. **საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით პირველი - წარმოდგენილ ანგარიშში ჩანს შემოსავლების დინამიკა. რამ განაპირობა მზრდადი დინამიკა?**

   მომხსენებელმა განმარტა, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სექტორის სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს, აღნიშნული ფაქტი უკავშირდება 2019 წლიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას. რომლის მიხედვითაც ერთის მხრივ გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ხოლო მეორეს მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი დამატებითი ღირებულებების გასდასახადიდან მობილიზებული თანხებიდან 19% ნაწილდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტებში.

2. **ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან რომელი პრიორიტეტების დაფინანსება მოხდა 2023 წელს ყველაზე მეტად?**

   მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ 2023 წელს ბიუჯეტის ასიგნების 54% დაიხარჯა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის 9,241,000ლარის ოდენობით.

3. **სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი - რა ოდენობის თანხა დაიხარჯა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით?**

   **მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით დაიხარჯა 140,800 ლარი და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით - 209,300 ლარი.**

   **სხვა შეკითხვა არ დასმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების თაობაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -17

წინააღმდეგი -0

თავი შეიკავა -1

**გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ანგარიში.**

**3. მოისმინეს: მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსმა ბაჩუკი გაზდელიანმა სახდომის წევრებს გააცნო საკითხი - საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.**

მომხსენებელმა განმარტა, რომ დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე 20 წელია განთავსებულია სავაჭრო ჯიხურები, რომლებიც ეკუთვნის კერძო პირებს. ჯიხურები არის ფიცრული, სიძველისაგან დეფორმირებული. სრულიად აუშნოებს მიმდებარე ტერიტორიის იერსახეს. მიწა, რომელზედაც ეს ჯიხურებია განთავსებული არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ჯიხურების მეპატრონეები თანახმა არიან დაშალონ ეს ჯიხურები და მათ ადგილზე ააშენონ ახალი ობიექტი , თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით იმ სემთხვევაში, თუ

მუნიციპალიტეტი მათ მისცემს საშუალებას შეიძინონ ეს მიწა და დაირეგისტრირონ მათ საკუთრებაში.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია გაიყიდოს აუქციონის წესით დაბალენტეხში აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე არასასოფო- სამეურნეო მიწის ნაკვეთი (საკ. კოდი 87.04.24.276) 278 კვ.მ.

**საკითხის განხილვას მოჰყვა ცხარე კამათი. ფრაქცია ,,ძლიერი მუნიციპალიტეტის" თავმჯდომარემ რომან მუკბანიანმა აღნიშნა,** რომ ეს მიწა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაყიდოს მუნიციპალიტეტმა, რადგანაც არავის არ ექნება გარანტია სამომავლოდ რას გააკეთებენ მიწის მესაკუთრეები. ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული მიმდებარე კორპუსის მოსახლეობის მიდგომა ამ საკითხის მიმართ..

**მირიან ლიპარტელიანი:** თუ აუქციონზე დაიდება მიწა გასაყიდად, შეიძლება ეს მიწა სულ სხვა რაიონის მაცხოვრებელმა იყიდოს და დაზარალდებიან ადგილობრივი ინდ. მეწარმეები.

**მომხსენებელმა განმარტა,** რომ ეს იქნება საჯარო აუქციონი, სადაც მონაწილეობის უფლება ექნებათ მხოლოდ ადგილობრივ დაინტერესებულ პირებს.

**აზრი გამოთქვა: გიორგი გაზდელიანმა** - კორპუსს აქვს წითელი ხაზები. პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ კორპუსის მოსახლეობის ინტერესები. მიზანშეწონილად მიმაჩნია საკითხი გადავდოთ მომდევნო სხდომისთვი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მომზადებულია ერთიანი პროექტი, რომ მუნიციპალიტეტის იერსახე არ დამახინჯდეს.

საკითხის განხილვამ გამოიწვია საკრებულოს წევრთა აზრთა სხვადასხვაობა.

**საკრებულოს სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება :**

1. **აღნიშნული საკითხის განხილვის დროებით შეჩერების შესახებ;**

2. **ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერიას განკარგულების პროექტს თან დაურთოს აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე საერთო საცხოვრებელი კორპუსის მოსახლეობის გამოკითხვის მასალები და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული ნელშეკრულების პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსალოდნელი რისკები და ვალდებულებები.აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტაცია მომზადდეს საკრებულოს მორიგი სხდომისთვის.**

3. **აღნიშნული საკითხის შემსწავლელ კომისიის შემადგენლობაში ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გათვალისწინებული იქნან:**

**1. ირაკლი ქურასბედიანი - დაბის მაჟორიტარი დეპუტატი;**

**2. დალი ტვილდიანი - ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე;**

**3. რომან მუკბანიანი - ფრაქცია ,,ძლიერი მუნიციპალიტეტი"-ის თავმჯდომარე.**

4. **მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ USAIDI-ის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანამშრომლობის და მხარდაჭერის ფარგლებში ში მომზადდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის, სოც საკითხთა, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების; ეთიკის, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიების სამოქმედო გეგმები. რაც შეეხება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას - ამ კომისიის სამოქმედო გეგმა მომზადდა 2023 წლის სექტემბრის თვეში . აღნიშნული გეგმების პრეზენტაცია უკვე ჩატარდა და აუცილებელია საკრებულოს სხდომაზე მომზადებული გეგმების დამტკიცება. საკრებულოს კომისიებს ამ სხდომისთვის დასამტკიცებლად წარმოდგენილი აქვთ 2024 წლის სამოქმედო გეგმები.

საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიების სამოქმედო გეგმები დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

**გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების 2024 წლის სამოქმედო გეგმები.**

5. **მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხები:**

**1. სოფ. ლექსურის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება** - ღელის კალაპოტის გაწმენდის და მოსახლეობის დაცვის მიზნით ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები, საკრებულოს შესაბამისი კომისიის წევრებმა ადგილზე მისვლით გადააამოწმეს და კომისიის დასკვნის თანახმად აღნიშნული საკითხი ნამდვილად საყურადღებო და განსათვალისწინებელია.

**აზრი გამოთქვა:** საკრებულოს წევრმა თორნიკე გასვიანმა - ამ პროექტის მომზადების დროს განსათვალისწინებელია სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზეც სანიაღვრე არხის მოწყობა.

**აზრი გამოთქვა: მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევანი ლიპარტელიანმა - უნდა მომზადდეს ახალი პროექტი გამაგრებითი კედლის მოწყობის თაობაზე და ამ პროექტს მიებმება სასამართლოს გვერდით არხის გაკეთება.**

**საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს საკითხთან დაკავშირებით, გაითვალისწინეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა და მიიღეს გადაწყვეტილება - ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს - მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდეს შესაბამისი პროექტი ღელის კალაპოტის გაწმენდის და ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის თაობაზე.**

**2. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიაში შემოვიდა დაბა ლენტეხში ჭავჭავაძის ქუჩის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება -** ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებულ მოედანს და სკვერს მიენიჭოს აწ. გარდაცვლილი ბიძინა აფაქიძის სახელი, რომელიც დაიბადა და გაიზარდა აღნიშნულ ქუჩაზე. ის იყო განათლებული, გამორჩეული და საძაგალითო ახალგაზრდა. განცხადებას ხელს აწერს ჭავჭავაძის ქუჩის 75 მაცხოვრებელი. აღნიშნული განცხადება შეისწავლა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ და ძიიღო დასკვნა საკითხის სხდომაზე გატანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სახელის მინიჭების პროცესი არის დროში გაწელილი და მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით დავუშვათ გამონაკლისი და დაჩქარებული წესით მივიღოთ გადაწყვეტილება წავჭავაძის ქუჩაზე მდებარე მოედნისთვის და სკვერისთვის ბიძინა აფაქიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

სხვა აზრი არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

**საკრებულოს წევრებმა ღია კენჭისყრის შედეგით:**

**მომხრე -18**

**წინააღმდეგი -0**

**ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება: გათვალისწინებული იქნას ჭავჭავაძის ქუჩის მოსახლეობის თხოვნა და ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებულ მოედანს და სკვერს მიენიჭოს აწ. გარდაცვლილი ბიძინა აფაქიძის სახელი.**

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ 14 საათსა 40 წუთზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა დამთავრებულად გამოცხადდა.**

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი